ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2661593

ნომერი: AR1413130

თარიღი : 14.06.2016

გაცემის თარიღი : 11.07.2016

გაცნობის თარიღი : 11.07.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი, სულხან ცინცაძის ქ.#57; ქ.თბილისი, სულხან ცინცაძის ქ.#57;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარ ბაღათურია პ/ნ 01008022487
- მცხეთის ქ.#1/ზ.27

ორგანიზაცია:

- მაგთიკომი კოდი: 204876606

ნომენკლატურა :

- მიშენებული - დაშენებული
- სხვა ფუნქციის შენობა
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : რადიო სიხშირული საბაზო სადგური

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, მისი ოფიციალური ვებ–გვერდის www.tas.ge მეშვეობით ელექტრონულად წარმოდგენილი #AR1413130 განცხადებით მომართა, შპს „მაგთიკომი“–ს წარმომადგენელმა ნოდარ ბაღათურიამ და ნომენკლატურის მიხედვით მოითხოვა, ქ. თბილისში, საბურთალოზე, სულხან ცინცაძის ქუჩის #57–ში, შპს „Mores

Company“-ის საკუთრებაში არსებულ #01.10.14.028.089 მიწის ნაკვეთზე განთავსებულ სხვა ფუნქციის შენობაზე, უნებართვოდ მიშენებული–დაშენებული ფართის ლეგალიზება, ხოლო მოთხოვნის ტექსტში მითითებული იქნა, რომ ითხოვს მშენებლობის ლეგალიზებას. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, გადაამოწმა სამსახურის მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია და გაარკვია შემდეგი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 01 ივნისის #2592159 ბრძანებით, არ დაკმაყოფილდა შპს „მაგთიკომი“–ს წარმომადგენლის ნოდარ ბაღათურიას #AR1401573 და უარი ეთქვა ქ. თბილისში, საბურთალოზე, სულხან ცინცაძის ქუჩის #57–ში, შპს „Mores Company“-ის საკუთრებაში არსებულ #01.10.14.028.089 მიწის ნაკვეთზე განთავსებულ სხვა ფუნქციის შენობაზე, უნებართვოდ დამონტაჟებული ანტენების ლეგალიზებაზე.

ობიექტის, რომლის ლეგალიზებაზეც სამსახურის 2016 წლის 01 ივნისის #2592159 ბრძანებით უარი ეთქვა ნოდარ ბაღათურიას და დღეის მდგომარეობით #AR1413130 განცხადებით სალეგალიზაციოდ წარმოდგენილი ობიექტი არის ერთიდაიგივე ანუ იდენტური, არ არსებობს ახლად აღმოჩენილი და ახლად გამოვლენილი გარემოებები და სამართლებრივი ან ფაქტობრივი მდგომარეობა არაა შეცვლილი იმგვარად, რომ შექმნილი იყოს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემის წინაპირობა ანუ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული ვერ იქნება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102–ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც, „განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.“

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება“ და აღნიშნული ნორმა პირდაპირ ავალდებულებს არქიტექტურის სამსახურს, რომ ზუსტად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის, მე-100 მუხლის პირველი ნაწილის, 102-ე მუხლის პირველი ნაწილის და „პროექტისშემთანხმებელი და მშენებლობისნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდან/და პროექტისდარღვევით აშენებული ობიექტების ან მათინაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ებრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

_____ უარი ეთქვას შპს „მაგთიკომი“–ს წარმომადგენელს ნოდარ ბაღათურიას განხილვაზე #AR1413130 განცხადების, რომლითაც იგი ითხოვს ქ. თბილისში, საბურთალოზე, სულხან ცინცაძის ქუჩის #57–ში, შპს „Mores Company“-ის საკუთრებაში არსებულ #01.10.14.028.089 მიწის ნაკვეთზე განთავსებულ სხვა ფუნქციის შენობაზე, უნებართვოდ დამონტაჟებული ანტენების ლეგალიზებას.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.